

# სახალხო გაზეტი

სურათებიანი ღამათი

გაზეტის № 633

ღამათების № 111

კვირა, 24 ივნისი 1912 წ.



წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების სკოლის მასწავლებლები და მოსწავლენი.



კოოპერაციის დღესასწაული.

აბაშის კოოპერატიული საზოგადოების „ანგარიში“-ს პირველი საზოგადოებრივი მღაზის გახსნა სოფ. ნოღოში, დაბიდან ნახევარ ვერსის დაშორებით, — 10 ივნ. 1912 წ.

(იხილე წერილი ამავე სათაურით „სახ. გაზ.“ № 633-ში).

## იხე იცინე!

იხე იცინე, თვით არ ვსტიროდე,  
ნუ შეიწირავ გულის სიხარულს;  
ჩემთვის, ჰე ჩემო, რისთვის ჰნატრობდე  
ეკლით მოფენილს გზაზედ სიარულს?

იხე იცინე, თვით არ ვსტიროდე,  
არც დასკენს ადრე ეს ჩემი გრძობა;  
თუ ყვავილს მოსტეხ—ვაი თვით თრთოდე—  
ჩემებრ სხვა, ტურფავ, ვინ შეგეტრფობა?

იხე იცინე, თვით არ ვსტიროდე,  
იცინე ლალად და უღარდელად;  
მხოლოდ ამას გთხოვ: ჩემკენ არ ჰქროდე  
ბასრის მახვილით უღროო მკვლელად!

ა. შანშიაშვილი.



## ელეგია

რომანო.

ჩემო ძვირფასო!.. შენს ობოლ საფლავს,  
არ დავივიწყებ... ხშირად ვნახავ...  
შენს ნაანდერძვე სსოვნას, სიყვარულს,  
გულის წიაღში ღრმად შთავიძარხავ...  
დეე, შენს შემდეგ სულმა მგონისამ,  
აღარ ილხინოს, აღარ იხაროს,  
და ნიშნად ვაგლახ მძიმე გლოვისა,  
მწუხრ თვალთა ცრემლი გადმოიღვაროს...  
დაიმსხვრეს ჩანგი! დასწყდეს სიმები!  
აღარც იქდეროს, არც იმკენსაროს!  
შენს ერთგულ მღერალს, შენთანვე ჩასულს,  
მიწად და ფერფლად მკერდს დამეყაროს.

ჩემო კეთილო! შენს ობოლ საფლავს,  
პირქვე დავემხე... ჩამოგქვითინებ...  
ან, ტირილ ცრემლით აღგადგენ მკვდრეთით,  
ან, შენთან ერთად... მეც მივიძინებ...

გ. ქუჩიშვილი.



## მშვიდობით

მშვიდობით! შენს გზას დიადი ბრწყინვით  
ფინებოდეს მთვარეც და მზეცა!  
ვილოცებ კიდევ, თუ შეიწყნარებს  
შენთვის ლოცვასა მრისხანე ზეცა.  
მაგრამ არ მჯერა, ჰპოვებდე სადმე  
ჩემსა გარეშე მშვიდობას, ზეებას  
და მწარედ ვნაღობ, რომ უღალატე  
შეყვარებულთა უმანკო მცნებას.

ბევრჯელ დაგქექებს ცა ობლად შთენილს,  
ამაყი მონად გარდაიქმნები,  
ბევრჯელ მინატრებ ნუგეშის მცემელს,  
მაგრამ შენთანა აღარ ვიქნები...  
რად დაივიწყე, ტკბილი წარსული,  
ოქროდ ბრწყინვალე ბავშვობა ჩვენი,  
სამშობლო მხარე ტურფად შემკული,  
სადაც ჰყვოდნენ ნეტარი ღღენი.  
სხვაგან სად ჰნახავ მჯობს მშეს და მთვარეს,  
ჩვენი ცის იქით სად არის მხარე,  
რომ იფარავდნენ, ვინც დაარღვია

წმინდა კავშირი და სინარჩარე?  
 არ ძალმიძს ვსდუმდე, ვერც ვპოვებ სიტყვას  
 ფიქრით დახშული გულის სარკმელად:  
 ვერ შეუქმნია ჯერ მწიგნობრობას  
 სიტყვა ჩემ აზრთა გამოსათქმელად.  
 ჩემი ფიქრები შენ დაგედვენ  
 და, ვით ღრუბელნი, მზეს დაჰფარავენ:  
 ქექა-ქუხილი, ელვა და მეხი  
 შენს ცას შესძრავენ და შეჰზარავენ...  
 მშვიდობით! თუ კი ძალმიძს მშვიდობა  
 შეუწყნარებელ ცოდვთა მყოფელს  
 და ჩემსა ლოცვამ—ნაშთმა ტრფობისამ—  
 დე მივაცილოს ახალ სამყოფელს.

ი. მჭედლიშვილი.




# ღრი ბრემნი


ალ. სვენტოხოვსკისა \*)

იზოს თავის მოწაფის დინამონის გარდა არავინ უყვარ-  
 და. ახალგაზღობაში ქალთა სიტუარფე უტყვევებდა გულსა:  
 სილამაზის ეშხი ადვილად აბრუებდა. მაგრამ ჯადვილადვე \*  
 ვეცებოდა ფრთები მის აღმაფრენას და ტრფობის წმინდა  
 გრძობას ბოლო ეღებოდა. იზოსი ძალიან არავის უახლოვ-  
 დებოდა, არც ცოლი შეურთავს, რომ, როგორც თითონ ამ-  
 ბობდა, ყველასათვის ზურგი არ შეექცია. ადამიანის ცხოვ-  
 რება, მისი აზრით, მაღალი ქვებით სავსე ყუთს ემსგავსება. ეს  
 ქვები უსწორმასწორო გზაზე სიარულის დროს ეხლებიან  
 ერთმანეთს და იმსხვრევიან. განი-გან რომ ეწყვენ, ან რითიმე  
 იყვენ განცალკევებულნი, არ მიეხლებოდნენ ურთიერთს და  
 არ დაიმტვრეოდნენ. უსიცოცხლო სხეულთა შორის ძნელი  
 მოსაძებნია ორი ყოველმხრივ ერთნაირი საგანი. ადამიანებს  
 კი ჰგონიათ, რომ მათს გაცილებით უფრო მრავალ რიცხოვან  
 და მრავალ-ფეროვან საზოგადოებაში მრავალი ერთგვარი არ-  
 სება მოიპოვება. ამიტომ იზოსი ძალიან არავის უახლოვდე-  
 ბოდა, თუმცა გულთ უყვარდა მთელი კაცობრიობა. მხო-  
 ლოდ დინამონისათვის ემტყუნა თვის რწმენებს და შეიყვარა.  
 ამ სისუსტეში მოწაფის წინაშე თავს ასე მართლულობდა:  
 „არავის შეუძლიან ისეთი ძაფის დართვა, რომ სისქეში არსად  
 მეტნაკლებობა არ ემჩნეოდეს. ვერ აიღებ ისეთს ხმას, რომე-  
 ლიც თავიდან ბოლომდე ერთნაირის სიძლიერისა იყოს. არ  
 არსებობს ისეთნაირი ჰარმონია, რაიმე წვრილმანში მაინც რომ  
 არ იყოს შეშლილი. შენ ხარ ყვაილი ჩემის სიყვარულისა და  
 ამასთანავე დისონანსი ჩემს ფილოსოფიაში.“


იზოსი სცდილობდა, მევენახეობის სიყვარულთან ერთად  
 დინამონს მისი ფილოსოფიაც შეეთვისებინა, მისი აზრებით გამ-  
 სქვალულიყო. დინამონი მცირე წლოვანი დაობდა. იქნება  
 უდროოდ შემოჰკლებოდა მას სიცოცხლე, იზოსი რომ არ  
 გამოსჩენოდა პატრონად და აღმზრდელად. იზოსმა იშვილა  
 დინამონსი, მაგრამ არ ეგონა კი, რომ ნაშვილობი ისარსავით  
 დაესობოდა მის გულს, თავს შეაყვარებდა და დაურღვევდა  
 სულის მყუდროებას. მაგრამ ბავშვმა ცული მადლობა გადაუ-  
 ხადა იზოსს მზრუნველობისათვის: გაუღვიძა გულში ღრმა,  
 თითქმის მშობლიური სიყვარული. დინამონსი არა თუ საყვა-  
 რელი, კეთილი და მშვენიერი ყმაწვილი იყო, არამედ ბუნე-  
 ბას ნიჭითაც უხვად დაეჯილდოვებანა. ვიდრე დინამონსი ოცის  
 წლისა შესრულდებოდა, იზოსი განუშორებლივ მასთან იმყო-  
 ვებოდა და სცდილობდა, დინამონს მისი აზრები შეესისხლ-  
 ხორცებინა, მისი რწმენებით გამსქვალულიყო. მოხუცს სწად-  
 და, რომ მისი აზრები მოწაფის თავში აუშფოთებელ-დაზავე-  
 ბულ გონების ბროლებად გადაქცეულიყვნენ. მაგრამ უნაყო-  
 ფოდ რჩებოდა მისი ცდა: დინამონის მხურვალე გული აღ-



საკი-ეული ფარცხი.  
სოფ. ზემო-გომში (გორის მაზრა).



საკიეული ასაშებელი  
სოფ. ზემო-გომში (გორის მაზრა).




მწკრივად სათესი მანქანა ქართულ ს. სამ. საზოგ. მომზადებულია სიმინ-  
დის სათესად; ველის სიგანე 15¼ გოჯია.  
სოფ. ზემო-გომში (გორის მაზრა).

მზრდელისგან შეთვისებულ აზრებს სულ სხვა ელფერს აძ-  
 ლევდა. მოხუცის ყოველი სიტყვა ადამიანის გულს ყინული-  
 ვით ცივად ხვდებოდა, დინამონის სიტყვები კი ჭაბუკური გა-  
 ტაცებით იყო აგზნებული. პირველი სცდილობდა ყოველი-  
 ფერი შეეგნო და აეხსნა; მეორე იჩენდა ან სიყვარულს, ან  
 სიძულვილს. პირველში სჭარბობდა ქკუა, მეორეში გრძობა.  
 ყოველს მოხერხებულს შემთხვევაში, მუშაობის თუ სე-  
 ირნობის დროს, იზოსი სცდილობდა ჩაენელებინა ჭაბუკური

\*) სვენტოხოვსკი პოლონელი მწერალია.



სიმინდის გასათხანი იარაღი სოფ. წრამში თავ. ლ. ციციშვილის მამულში (გორის მაზრა).



მწკრივად დათესილი და უკვე გამოთოხნილი სიმინდი სოფ. გომში (სინდიკატის დათესილი).

გატაცება დინამოსისა. ყმაწვილ კაცს კი უფრო და უფრო უცხოველდებოდა გამოხატულება და ხშირად მიაფრენდა ოცნებათა სამეფოში. ერთხელ რთვლის დროს ისინი ჩვეულები-სამებრ მშვიდობიანად ეკამათებოდნენ ერთმანეთს მათის რწმენა-შეხედულობაზე განსხვავების შესახებ.

— თუ სიყვარული, — ამბობდა მოხუცი, — მაღლიერობის გრძობა იქნება, სიძულვილი კი შურისძიებისა, გონების მიერ უკუგდებულ არ იქნებოდნენ. მაგრამ განა შეიძლება შურისძიება გაუწიო, ვისაც არა დაუშავებია? ან ემაღლიერებოდე, ვისაც მაღლობა არ დაუმსახურებია? ქალი რომ ლამაზია, ან ულამაზო, მოსამართლე — მოქრთამე, ან მიუდგომელი, მეგობარი — ერთგული, ან მოლაღატე, — ეს მათს მკეთილს ან ბოროტს ნებაზე არ არის დამოკიდებული. ასეთები შეჭქმნა ისინი თვით ბუნებამ. რატომ არავის უყვარს ყურძენი, ტკბილი რომ არის და ნოყიერი და არ სპობს ძალ-ყურძენას, რადგანაც იგი მავნებელია და შხამით სავსე?

— როგორ არა, უყვარს და სპობს, — შეეკამათა დინამოსი: პირველს ადამიანი უფლის და კრეფავს, მეორეს კი მუსრს ავლებს, ფხვრის. მამილო, თითონ შენც ასევე იქცევი.

— იმიტომ რომ მე ჯერ კიდევ მომდგავს სისულელე. ჩემი თავი მიემსგავსება გაბზარულს ქოთანს, რომელშიაც შექამანდის მოხარშვა შეიძლება, მხოლოდ გასდის კი... მაგრამ იცი, ჩემო კარგო! დავრწმუნდი, რომ მარტო მტკიცებით და მოსაზრებების მოყვანით, რაც მწადა, ვერ შეგასწავლი. სჩანს, ჩემი მცირე ჭკუა-გამოცდილება ორივეს არ გვეკარგება; ცხოვრების წრე, რომელშიაც ვტრიალებთ, ძლიერ ვიწროა და არ ძალ-უძს ირგვლივ მხედველობა გაგიფართოვოს. ამიტომ წაღი, მოიარე ქვეყნიერება, ყურადღებით ჩაუყვირდი ადამიანებს, კარგად გაიცან ცხოვრება და დაბრუნდი ჩემთან. იქნება მაშინ ერთმანეთის გულის პასუხს უკედ მიუხვდეთ.

— უკვე გემძიმები, მამავ, და გინდა თავიდან მომიშორო! — სთქვა გულახდილად.


— ფარულ აზრს ნუ ეძებ ჩემს სიტყვებში. მე კარგა ხანია ვემდური ჩემს თავს, გამოუცდელი ფლეიტისტით ამაოდ რო ვცდილობ მოვისმინო შენგან, როგორც დასაკრავ იარაღიდან, სასურველი მელოდია. ვნახოთ, როგორ მოგმართავს ცხოვრება. მე შეგიგროვე მთელი წლის სამყოფი ფული.

დინამოსი გაუდგა გზას. დაიარა საბერძნეთი და მისი ახალშენები აზიაში, უკვირდებოდა ადამიანებს, ესაუბრებოდა ფილოსოფოსებს. ბოლოს დიდის გამოცდილებით და ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდა უკან.

გულ-აჩუყებული მოხუცი სიხარულით მიეგება შვილობილს. რამდენიმე ხნის განმავლობაში დინამოსი დაწვრილებით უამბობდა თავის მოგზაურობის ამბებს. როცა თითქმის ყველაფერი უამბო, იზოსმა ჰკითხა:

— ისევ ძველებურად გიყვარს და გძულს ადამიანები?

— დიად, — მიუგო ჰაბუკმა: — ეხლა უფრო მეტად, ვიდრე წინად. მრავალი ადამიანი ვნახე ღირსი სიყვარულისა და მრავალიც ღირსი სიძულვილისა. ზოგისთვის სიამოვნებით გავსწი-



მწკრივად (შარებად) დათესილი და უკვე გამოთოხნილი სიმინდი სოფ. პატარა თამარაშენში თავ. ან. ფალავანდიშვილთან; შარების გამოთონა და სიმინდის გათხელება საჭის თოხით.

რავდი თავს, ზოგისთვის კი თოქსაც არ გავიმეტებდი, რომ სახრჩობელა ჩამოეხა და თავი დაეხრჩო.

იზოსმა დარდიანად დახარა თავი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგანაც მოწაფის ხასიათის შეცვლის იმედები გაუცრუვდა; თანაც ექვმა გაურბინა თავში: იქნება ჩემი ფილოსოფია, ის ფილოსოფია, რომელსაც ასე გულმოდგინედ ვუნერგავდი და ჩავჩიჩინებდი მოწაფეს, შორს არის ქეშმარიტებისაგანაო? განა ის მართლა სცდება? განა ამ ყმაწვილის გონებაში უმაღლესი სიბრძნის სხივებს შეუწათებია? არა... მოხუცის ძვალ-რბილში ღრმად გამჯდარმა რწმენამ ასე ჩქარა, ასე ადვილად არ დაუთმო ადგილი სხვებსა, სიჭაბუკის ძალამ ვერ შემუსრა ისინი. მცირე ხნის დუმილის შემდეგ იზოსი დაეკითხა:

— ბრჭენთაგან, შენის აზრით, ღმერთებთან რომელი უფრო დაახლოვებულია?

— პლატონი! — აღჴაცებით მიუგო დინამოსმა: — წინ-ნა-გულვები და აკვიატებული აზრი მისთვის არ არსებობს... იგი აღმოაჩენს ხოლმე ქეშმარიტებას. ყოველი მისი სიტყვა, როგორც ვარსკვლავი, განაპობს სიბნელეს...

— მაინც და მაინც უვიცი მიწათ-მოქმედნი დიდად არ აფასებენ პლატონსა, რადგან წვიმის მოყვანა არ შეუძლიან. როგორა ფიქრობ: ათინას ქანდაკება გრდემლად გამოდგება?

— რას ამბობ? ჩაქუჩის ერთის დაკვრითვე სულ დაი-მსხვრევა.

— მეც ეგრე ვფიქრობ... მოგზაურობის დროს ბევრი მეგობარი იშოვე?

— ამ სახელს მე გაბედვით ვუწოდებ რამდენსამე ადამიანს. განსაკუთრებით ნიკონ ეფესელმა უანგარო გულკეთი-

